მგოსნის სონეტი

ყველა მოკვდება... ყველა გაქრება,
საქორწილოსაც გაგვხდიან საცმელს,
საფლავის მტვერი დაეფარება
ჯერ გადაუშლელ გრძნობის კრეტსაბმელს.
ვინ გაიხსენებს, ჩვენ რო გვიყვარდა,
ან ვინ გაიგებს, ჩვენ რო ვცხოვრობდით?
არყოფნის ღამის დაგვფარავს ფარდა,
არყოფნის ღამე გვეტყვის „მშვიდობით“.

მტვრიან და ძველი წიგნით ამდგარი,
მოვა და მწარედ აქვითინდება,
როს შეაშფოთებს ტირიფს შტოს ქარი.
დაუწყებს ტირილს განვლილ ცხოვრებას
გამოუტანელ სიზმარივით მკრთალს,
და შეავედრებს დამწვარ მგოსნის სულს,
ყოვლის გამკითხავს ზენაარ უფალს...

1914 წ.